სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ (ინფორმაციის [illegible] შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ბრძანება:ბ**01.011835810**

თარიღი:**24/12/2018**

„ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში, V მიკრორაიონში, N11კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 მატის N1-501 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის N67-01183553822 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში, V მიკრორაიონში, N11კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 მატის N1-501 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, გლდანი V მ/რ; ქალაქი თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი V-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.004.028) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, გლდანი V მ/რ; ქალაქი თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი V-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.09.004.028) განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-1=0.6, კ-2=4.2“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**67-01183553822**
თარიღი: **21/12/2018**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია	
დასკვნა: დადებითი	
განცხადების ნომერი	N0118283622-67; N01183533328-67
განცხადების თარიღი	10.10.2018წ. 19.12.2018წ.
ნომენკლატურა	ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება
მისამართი	ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ ; ქალაქი თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი V
საკადასტრო კოდ(ებ)ი	N01.11.09.004.028 (არასასოფლო-სამეურნეო)
ფართობ(ებ)ი	2750.00 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ნოლა 16“
არსებული ფუნქციური ზონა(ები)	**საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)** მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=2.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ–3=0.3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600 / 700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე -15 / 20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე -25 / 30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულების შესაბამისად მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253 (ფართობი 2459.00 კვ.მ.))

	ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ–1=0.6, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=4.4.
მოთხოვნილი პარამატრები *(არსებობის შემთხვევაში)*	კ–2=4.2
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული);
განმცხადებლის მოთხოვნა	ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებაში ცვლილების განხორციელება ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით.

საკითხის აღწერა

2018 წლის 19 დეკემბრის N01183533328-67 განცხადებით დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253) გაცემულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებაში ცვლილების განხორციელება ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით.

2016 წლის 19 მაისს №2604849 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.158 (ფართობი 1180 კვ.მ.)) დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული) ფუნქციით. 2017 წლის 23 იანვარს №3058351 ბრძანებით შევიდა ცვლილება აქტში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა N01.11.12.005.225 და N01.11.09.004.017 საკადასტრო ერთეულები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253) და ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ–1=0.6, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=4.4.

2017 წლის 16 ივნისს №3326808 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

დღევანდელი მდგომარეობით ნაკვეთის ფართობის გაზრდის გამო შეიცვალა ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები: საკადასტრო კოდი გახდა: N01.11.09.004.028, ხოლო ფართობი 2750.00 კვ.მ. დაინტერესებული პირი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებაში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით.

დასკვნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებით ქალაქგეგმარებითი პარამეტრები მინიჭებული იყო 2459.00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე, საპროექტო მიწის ნაკვეთი გაიზარდა 291 კვ.მ. ფართობით და გახდა 2750.00 კვ.მ. ვინაიდან მიერთებული ნაკვეთის კ–2–ის დაანგარიშება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი კოეფიციენტით, მთელი საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მაჩვენებელი უნდა დაფიქსირდეს კ–2=4.2.

რადგან საპროექტო ტერიტორიის არეალის გაზრდის შედეგად დაკორექტირდა ნაკვეთის კონფიგურაცია, მისასვლელი გაჩნდა სამხრეთ–დასავლეთით არსებული გზის მხრიდანაც და ფართობის გაზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი მოთხოვნილი ფუნქციის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 02 მარტის N1-501 განკარგულებაში ცვლილების განხორციელების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა ნაკვეთის ახალი საკადასტრო კოდის N01.11.09.004.028 და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ–2=4.2 მაჩვენებლის დაფიქსირებით.

სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:

სამართალებრივი დასკვნა:	1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილება; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილება; 3.„კულტურული მემკვიდორეების შესახებ“ კანონი
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის კ-1 და კ-2 კოეფიციენტების განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისთვის. იმავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად პზ-ში ნებისმიერი ფუნქციის, მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან/და

	საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: *ა) ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები;* *ბ) ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;* *გ) ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.* ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, N01183533328-67 განცხადების დაკმაყოფილება და „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში, V მიკრორაიონში, N11კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.253) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 მატის N1-501 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით, დასაშვებია.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

N 13
02.02.2019 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი და ხარისხობრივი შეფასება

2019 წლის 01 თებერვალს ქალაქი თბილისი, გლდანის V მ/რ, N11 კორპუსის მიმდებარედ ს/კ: 01.11.09.004.028, შპს „ნოლა 16“-ს (ID: 405158519) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთზე არსებული 86 (ოთხმოცდა ექვსი) ძირი ხე და ბუჩქოვანი მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში.

აღნიშნული მცენარეები ტერიტორიაზე ახალი დარგულია.

ახლად დარგული მცენარეების მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ქ. თბილისი, გლდანის V მ/რ, N11 კორპუსის მიმდებარედ ს/კ: 01.11.09.004.028, შპს „ნოლა 16“-ს (ID: 405158519) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების სახეობრივი შეფასება

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	იუკა (Yucca)	3	0,3	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
2	ტუია (Thuja)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
3	სოჭი (Abies)	3,5	0,4	ჯანსაღი	ახალი დარგული
4	ჭანჭყატი (Euonymus)	2,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
5	ტუია (Thuja)	4	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
6	იუკა (Yucca)	2,5	0,4	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული

7	ტუია (Thuja)	4,4	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
8	ჭანჭყატი (Euonymus)	3,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
9	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2,5	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
10	ჭანჭყატი (Euonymus)	2,8	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
11	იუკა (Yucca)	12	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
12	როზმარინი (Rosmarinus)	2	0,4	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
13	ტუია (Thuja)	5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
14	ღვია (Juniperus)	3,5	0,3	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
15	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,1	2,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
16	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,5	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
17	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,1	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
18	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	3,4	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
19	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,7	2,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
20	ღვია (Juniperus)	3	0,3	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
21	ფორჩუნის ტრახიკარპუსი (პალმა) (Trachyracarpus fortunei)	18,7	2,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
22	ჭანჭყატი (Euonymus)	1,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
23	ჭანჭყატი (Euonymus)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
24	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	1,5	0,7	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
25	ტუია (Thuja)	13,8	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
26	ჭანჭყატი (Euonymus)	1,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
27	ჭანჭყატი (Euonymus)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
28	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2,3	2,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
29	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	3	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
30	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
31	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2	2,4	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
32	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,5	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
33	ჭანჭყატი (Euonymus)	4,2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
34	ჭანჭყატი (Euonymus)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული

35	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,3	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
36	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,3	2,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
37	ტუია (Thuja)	2,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
38	ჭანჭყატი (Euonymus)	2,4	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
39	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	1,8	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
40	ტუია (Thuja)	6	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
41	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	1,3	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
42	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,3	2,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
43	ფორჩუნის ტრახიკარპუსი (პალმა) (Trachyracarpus fortunei)	21,9	2,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
44	ღვია (Juniperus)	3	0,3	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
45	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2,7	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
46	ჭანჭყატი (Euonymus)	1,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
47	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,8	2,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
48	ღვია (Juniperus)	2,5	0,3	ჯანსაღი	ახალი დარგული
49	ჭანჭყატი (Euonymus)	1,7	0,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
50	ტუია (Thuja)	4	0,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
51	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
52	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2,6	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
53	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2,3	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
54	ჭანჭყატი (Euonymus)	1	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
55	ტუია (Thuja)	3,7	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
56	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2,6	1,0	ჯანსაღი	ახალი დარგული
57	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	3,6	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
58	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	3,5	2,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
59	ღვია (Juniperus)	2,5	0,3	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
60	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,3	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
61	ტუია (Thuja)	4,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
62	ტუია (Thuja)	3,3	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული

63	ტუია (Thuja)	3	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
64	ტუია (Thuja)	3,1	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
65	ტუია (Thuja)	3,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
66	ტუია (Thuja)	3,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
67	ტუია (Thuja)	3,5	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
68	ტუია (Thuja)	3,6	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
69	ტუია (Thuja)	2,7	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
70	ჭანჭყატი (Euonymus)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
71	ტუია (Thuja)	3	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
72	ტუია (Thuja)	2,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
73	ტუია (Thuja)	3,6	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
74	ტუია (Thuja)	2,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
75	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	2	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
76	კვიპაროსი პირამიდალური (Cupressus sempervirens f. Pyramidalis)	3,7	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
77	ტუია (Thuja)	2	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
78	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	2	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
79	ტუია (Thuja)	3,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
80	ტუია (Thuja)	3,5	1,0	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
81	ტუია (Thuja)	1	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
82	ტუია (Thuja)	1	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული
83	ფორჩუნის ტრახიკარპუსი (პალმა) (Trachyracarpus fortunei)	10,5	1,5	ჯანსაღი	ახალი დარგული
84	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	1,5	1,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
85	ტუია (Thuja)	3	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი
86	ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana)	1,5	0,5	ჯანსაღი	ბუჩქი, ახალი დარგული მრავალღეროიანი

ფოტო თან ერთვის.

შ.პ.ს. „ეკო გარემო"-ს დირექტორი

შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru

გლდანის V მ/რ, N11 კორპუსის მიმდებარედ ს/კ: 01.11.09.004.028









ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-2/ო1298-17
"22" 12 2017 წ.

უწყება № 4-2/ო1298

"პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის"კოდექსით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე

საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, დაბარებული ხართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, 2017 წლის 5 დეკემბრის №003114 მითითებაში დაფიქსირებულ სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

დამრღვევის დასახელება და მისამართი –შ.პ.ს. „ნოლა 16"

ობიექტის დასახელება და მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი V მ/რ, კორპ 11-ის მიმდებარედ, (ს/კ 01.11.12.005.253)

საქმის განხილვის თარიღი – 27.12.2017წ.
საქმის განხილვის ადგილი - ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ.№7, I სართ. ოთახი №5 ან №6.

საქმის განხილვის დრო – 12[20]სთ.

საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა – სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე – მამუკა ჯაყელი

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირს.

პირი რომელსაც ჩაბარდა უწყება ----------

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის უწყების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება უწყებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

გაფრთხილებთ, რომ მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე ---------- მ. ჯაყელი

უწყების განთავსების თარიღი ----------

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-0118247812**
თარიღი: **04/09/2018**
პინი: **6300**

ადრესატი: ირმა გოგშელიძე
პირადი ნომერი: 59001011981
მისამართი: თბილისი გაზაფხულის ქ. N 12 ბ. 19

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სამსახურში შემოსული თქვენი N19/011808716O2-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია / ქ. თბილისში, გლდანი, V მ/რ, კორპუსი N11-ის მიმდებარედ (საკ. კოდი: 01.11.12.005.253) 2017 წლის 16 ივლისის N3326808 (AR1512589) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^{1}-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ფასადებზე დამატებულია ღიობები, ასევე შეცვლილია ღიობების მდებარეობა და გაბარიტი. შეცვლილია მოაჯირების ნახატი და ნაწილობრივ აივნების გაბარიტი. კაპიტალური მოაჯირების ნაწილი შეცვლილია ლითონის მოაჯირებით, ასევე შეცვლილია კაპიტალური და ლითონის მოაჯირების გაბარიტი. შემცირებულია აივნების რაოდენობა და მათ ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. შეცვლილია ვიტრაჟების, კარებების და ფანჯრების რაოდენობა მდებარეობა და გაბარიტი.

„ა-ი" ფასადი: -3,00 ნიშნულზე „ზ-ი" მონაკვეთში შეცვლილია ორი კარის ნახატი. ±0,00 ნიშნულზე „ა" ღერძის გარეთ გაუქმებულია კედლები.

„6-1''' ფასადი: +17,40 ნიშნულზე „3" ღერძთან შეცვლილია მოაჯირის ფორმა.

„1'-6'' ფასადი: ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია სართულზე შესასვლელი ღიობის მდებარეობა.

-3,00 ნიშნულზე შეცვლილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ გაბარიტი. დამატებულია მონოლითური კედლები, ასევე კაპიტალური კედლების ნაწილი შეცვლილია მონოლითური კედლებით. „6" ღერძის გარეთ დამატებულია მონოლითური კედლები, რის გამოც გაზრდილია ფართი. -3,00 ნიშნულიდან ზემოთ სართულებზე, სადარბაზოებში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა, კარის ღიობების მდებარეობა და რაოდენობა. ამავე ნიშნულიდან ზემოთ შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილების კონფიგურაცია და ნაწილობრივ კოლონების რაოდენობა. ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია საპროექტო სართულის ფუნქცია, რის გამოც გაუქმებულია ავტოსადგომი. ამავე ნიშნულზე დამატებულია კაპიტალური კედლები. +24,00 ნიშნულიდან ზემოთ ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი, რაოდენობა და მდებარეობა.

შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართი და საკადასტრო კოდი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^{1}-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი